ხელშეკრულება №05/11

ქ. ონი 18 ნოემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისი გამგებლის გიორგი ლობჯანიძის სახით და მეორე მხრივ ი/მ „ალექსანდრე ნარიძეს“ (შემდგომში "მიმწოდებელი")სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მ-9 მუხლის მე-3[1] პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

**2. შესყიდვის ობიექტი, შესყიდვის საშუალება და ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 შესყიდვის ობიექტია ქ. ონში დროშების საყრდენების მოწყობის სამუშაოები (დანაყოფის კოდი-45230000)

**2.2 სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარი**

**3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების კონტროლს ანხორციელებს ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ უფლებამოსილი პირი.

**4. მიწოდების ვადა.**

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2015 წლის 1 დეკემბრამდე.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

**6. ანგარიშსწორება**

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3 ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

*7. ფასები*

*7.1 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.*

*8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა*

*8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.*

*8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.*

*8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.*

*8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.*

*9. . უფლებების გადაცემა*

*9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.*

*10. სუბკონტრაქტორები*

*10.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.*

*10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.*

*10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.*

*11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა*

*(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)*

*11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.*

*11.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით.*

*11.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.*

*12. ფორს-მაჟორი*

*12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.*

*12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან*

*მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.*

*12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.*

*13. სადაო საკითხების გადაწყვეტა*

*13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.*

*13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.*

*14. ხელშეკრულების ენა*

*14.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.*

*15. შეტყობინება*

*15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.*

*15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.*

*16. გადასახადები და დაბეგვრა*

*16.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.*

*17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

*17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე.*

*18. სხვა პირობები*

*18.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.*

*18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.*

*18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და მეორე პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.*

*18.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.*

*18.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.*

## რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| შემსყიდველი:<br>ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა | მიმწოდებელი:<br>ი/მ "ალექსანდრე ნარიძე" |
| ----------<br>*/გიორგი ლობჯანიძე/*<br>ქ. ონი, დ.აღმაშენებლის მოედ.#1<br>ტელ.: 551 55 04 03<br>ს/კ 237978275<br>ანგ. № GE24NB0330100165022<br>სახელმწიფო ხაზინა<br>ბ.კ. TRESGE22 | ----------<br>*ალექსანდრე ნარიძე/*<br>ქ. ონი, სოფ. სორი<br>ტელ.: 551 13 00 04<br>ს/კ 34001005427<br>ანგ. № GE50LB0112114484720000<br>ს.ს. "ლიბერთი ბანკი"<br>ბ.კ LBRTGE22 |

# ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ონის მუნიციპალიტეტის გამგებლის

## ბრძანება

ქ. ონი

N 183
28/10/2015

183-02-4-201510281235

## ონის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტში მუხლიდან მუხლში თანხის გადატანის შესახებ

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მივლინების მუხლიდან გადატანილი იქნას 250 ლარი ოფისის მუხლში.
2. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფიდან ტრაქტორის სესხის გასაცემად პროცენტის მუხლიდან 910 ლარი და ვალდებულების კლებიდან სესხების მუხლიდან 3218 ლარი გადატანილი იქნას მუნიციპალიტეტის გამგეობის პროცენტის მუხლში 910 ლარი და ვალდებულების კლებიდან სესხების მუხლში 3218 ლარი.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ლობჯანიძე

მუნიციპალიტეტის გამგებელი

ვამტკიცებ: ონის მუნიციპალიტეტის გამგებელი  გ. ლობჟანიძე

დროშების საყრდენების მოწყობის

## ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

| № | სამუშაოს დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ.ფასი | სულ | ერთ.ფას | სულ | ერთ.ფას | სულ | |
| | **საყრდენების დამზადება ლითონის მილისგან** | **ცალი** | **2** | | | | | | | |
| | შრომის დანახარჯი | ცალი | 2 | | | 15 | 30 | | | 30 |
| | ლითონის მილი დ-50 მმ | გრძ.მ | 16 | 5 | 80 | | | | | 80 |
| | **საყრდენების დაბეტონება** | **ცალი** | **2** | | | | | | | |
| | შრომის დანახარჯი | ცალი | 2 | | | 10 | 20 | | | 20 |
| | ცემენტი 50 კგ. მ 400 | ცალი | 1.00 | 13.00 | 13.00 | | | | | 13.0 |
| | ღორღი | $მ^3$ | 0.30 | 35.00 | 10.50 | | | | | 10.5 |
| | **გორგოლაჭების და თოკის მონტაჟი** | **კომპლ** | **2** | | | | | | | |
| | შრომის დანახარჯი | კომპლ | 2 | | | 5 | 10 | | | 10 |
| | გორგოლაჭი და თოკი | კომპლ | 2 | 20.00 | 40.00 | | | | | 40.0 |
| | **საყრდენების შეღებვა** | **ცალი** | **2** | | | | | | | |
| | შრომის დანახარჯი | ცალი | 2 | | | 3 | 6 | | | 6 |
| | საღებავი | კგ | 2 | 3.3 | 6.6 | | | | | 6.6 |
| | **ტრანსპორტის ხარჯი** | **რეისი** | **1** | | | | | 15 | 15.00 | 15.0 |
| | **ჯამი** | | | | | | | | | 231.1 |
| | ზედნადები ხარჯი | | 4% | | | | | | | 9.2 |
| | **ჯამი** | | | | | | | | | **240.3** |
| | გეგმიური დაგროვება | | 4% | | | | | | | 9.6 |
| | **ჯამი** | | | | | | | | | **250.0** |

ონის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

სამსახურის უფროსი:  თ. გძელიშვილი